

International Black Sea University, Faculty of Law

Contemporary Law Journal

მკირფასო ავტორებო, მომავლო ავტორებო,

მოხარული ვართ, გამოვაცხადოთ სტატიების კონკურსი თანამედროვე სამართლის ჟურნალისთვის. თანამედროვე სამართლის ჟურნალი (CLJ) არის შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის მულტიდისციპლინარული და საერთაშორისო სამეცნიერო დონეზე რეცენზირებადი ჟურნალი, რომელიც მოიცავს შემდეგ რუბრიკებს: სამეცნიერო სტატიები, პრაქტიკოს იურისტთა ფორუმი, სტუდენტური ფორუმი, გამორჩეული სამეცნიერო ნაშრომების თარგმანები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, მნიშვნელოვანი საკანონმდებლო სიახლეები, მნიშვნელოვანი სამეცნიერო პუბლიკაციები. ჟურნალის მიზანია სხვადასხვა სამართლებრივი საკითხის გაანალიზება და მკითხველებისთვის ახალი პერსპექტივების მიწოდება.

მკვლევართა წრე

პირთა წრე, რომელთა ნაშრომებსაც გამოაქვეყნებს ჟურნალი, შეზღუდული არ არის. მისაღებია როგორც სამეცნიერო წრეების გამოცდილი მოღვაწეების, ისე დამწყებ მეცნიერთა ნაშრომები. გამორჩეულად წახალისდება სტუდენტთა წვლილი კვლევებსა და მათი შედეგების განზოგადების თვალსაზრისით. მეტიც, როგორც აღინიშნა, მივესალმებით კვლევებს ინტერდისციპლინური მეთოდოლოგიით.

შსსუ-ის სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები ჩართული იქნებიან პროექტში – „ქართული სასამართლო პრაქტიკის კვლევა“, რომლის შედეგები წარმოდგენილი იქნება ჟურნალის სპეციალურ რუბრიკაში. პროექტს უხელმძღვანელებენ სამართლის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და მოწვეული, მოქმედი პრაქტიკოსები.

პერიოდულობა, რეფერირება, ფორმატი

ჟურნალი გამოიცემა მინიმუმ, წელიწადში ერთხელ. წარმოდგენილი მასალის მოცულობიდან გამომდინარე, შესაძლებელია სპეციალური გამოცემების გამოშვება, რომლებიც დაეთმობა სამართლის რომელიმე ქვედარგს ან ავტორთა განსაზღვრულ კატეგორიას, განსაკუთრებით კი სტუდენტურ ფორუმებს.

გამოსაქვეყნებელი მასალა გაივლის რეფერირებას ადგილობრივ და უცხოელ სპეციალისტებთან. გამოქვეყნების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სარედაქციო კოლეგია. იგი დაკომპლექტებული იქნება როგორც შსსუ-ის აკადემიური პერსონალით, ისე დარგის გამორჩეული სპეციალისტებისგან.

გამოცემა მომზადდება ორ: ქართულ და ინგლისურ ენებზე. ავტორებს მოეთხოვებათ ორიგინალისაგან გასხვავებულ შესაბამის ენაზე თარგმანის წარმოდგენა. ჟურნალი გამოვა ბეჭდური ფორმით და მისი ელექტრონული ვერსია გავრცელდება შსსუ-ის სამართლის ფაკულტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით.

სტატიის წარმოსადგენად მსურველებმა ნამუშევრები უნდა გამოგზავნონ ელექტრონულ ფოსტაზე:

jcl@ibsu.edu.ge; lawfaculty@ibsu.edu.ge

გთხოვთ, სათაურის ველში (subject) მიუთითეთ „სტატია თანამედროვე სამართლის ჟურნალისთვის“

Dear authors/prospective authors,

We are glad to announce a call for papers for the Contemporary Law Journal!

The Contemporary Law Journal (CLJ) is an official scholarly referred multi-disciplinary and peer-reviewed scientifically indexed journal of the Faculty of Law, International Black Sea University. The journal includes the following rubrics: Scientific Articles, Forum of Practicing Lawyers, Students' forum, Translations of Distinguished Scientific Works, Court Practice Analysis, Significant Legislative News, Significant Scientific Publications. The aim of the Journal is to analyze different issues and provide readers with new perspectives on topics in Legal studies.

The Circle of Researchers

The circle of persons, whose works will be published in the journal, is not limited. Works of experienced researchers as well as beginners, are acceptable. Students' input in researches and generalizing their results will be exceptionally promoted. What's more, we are open to researches performed through interdisciplinary methodology.

IBSU's students will be encouraged to get involved in the project – “Georgian Court Practice Research”, results of which will be presented in the specific rubric of the journal

Periodicity, referring, format

The journal will be published, at least, once in a year. Taking the amount of presented materials into account, we consider issuing special publications, for any specific sub-field or group of authors, especially students' forum.

The materials to be published, will be edited by foreign specialists. Editors' board will decide upon publishing an article. The board will be comprised of IBSU's academic staff, as well as other distinguished specialists.

The publication will be bilingual: Georgian and English. Authors are required to hand the work in both languages. Hard copies as well as online versions of the journal will be available.

To present an article, one should send it to the following e-mail: jcl@ibsu.edu.ge ; lawfaculty@ibsu.edu.ge

Please indicate “Article for the Contemporary Law Journal” in the Subject line